ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი   სამშაბათი 21 სექტემბერი 2004 №219 (2240)   ფასი 50 თეთრი

# ვიდრე თამადა მოვიდოდეს
## რეალმა რემონტი რემონით დაიწყო



REUTERS

ხოსე ანტონიო კამაჩო იყო და აღარ არის, უფრო ზუსტად, „რეალისთვის“ აღარ არის. ის გუშინ გადადგა. კამაჩოს „რეალმა“ სულ ორი მატჩი წააგო. თავისთავად ორი მატჩის წაგება მაშინ, როცა დაკარგული არაფერია, საგანგაშო არ არის, მაგრამ ამ ორ მატჩში სხვა, ძალიან მნიშვნელოვანი რამ გამოჩნდა — წლევანდელი „რეალი“ დიდად არ განსხვავდება შარშანდლისგან, ხოლო ის, რაც შარშან იყო, მადრიდში არავის სურს.

ახლა ლაპარაკებია, რომ „რეალს“ ახალ, სახელიან მწვრთნელს მიუყვანენ და ვინძლო, ის სვენ გორან ერიკსონი იყოს. ჯერ არ ვიცით, მაგრამ „ნამდვილ“ მწვრთნელამდე გუნდს მარიანო გარსია რემონი რომ გაწვრთნის, ეს გადაწყვეტილია.

რემონი „ბერნაბეუს“ ერთ პაწაწინა კაბინეტში იპოვეს და ეგებ სწორედ ეს აღმოჩნდეს „რეალის“ ხსნა, რაკი თავის დროზე ვისენტე დელ ბოსკეც ხომ ისეთივე პაწაწინა კაბინეტის ბინადარი იყო და დიდ კაბინეტში რომ გადაიყვანეს, ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

ეგებ სწორედ ასეთი მწვრთნელი სჭირდება „რეალს“?

თუმც ამ კითხვას პასუხი ჯერ არ აქვს და დელ ბოსკესა და რემონს შორის პარალელების გავლება ნაადრევია. ჯერჯერობით მხოლოდ ცნობად მივიღოთ: კამაჩო წავიდა, რემონი „რეალის“ ახალი მწვრთნელია.



რემონმა კამაჩო ჩაანაცვლა

# სანამ დინამო ვისლაზე ფიქრობს, ტორპედო თავის საქმეს აკეთებს
## ბედის მომჩივანი ქუთაისელები ცხრილის თავში ჩამოსხდნენ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 6 | 1 | 0 | 13:1 | 19 |
| დინამო | 7 | 5 | 2 | 0 | 20:4 | 17 |
| თბილისი | 7 | 5 | 1 | 1 | 17:8 | 16 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:3 | 12 |
| ბათუმი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:6 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 1 | 3 | 12:12 | 10 |
| სიონი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:22 | 6 |
| დილა | 7 | 1 | 0 | 6 | 6:14 | 3 |
| კოლხეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 3:15 | 3 |
| ზესტაფონი | 7 | 1 | 0 | 6 | 5:20 | 3 |



დინამოელი ჩაბა კანკავა რკინიგზელების ალყაში

გუშინ „ეროვნულზე“ „ლოკომოტივმა“ „დინამოს“ ქულები და ლიდერობა დააკარგვინა — 0:0

გუშინ ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტური იმით ჩამთავრდა, რომ თბილისის „დინამომ“ სეზონის უცუდესი მატჩი ჩაატარა — თანაქალაქელი „ლოკომოტივი“ აქეთ უფრო მწვავედ უტევდა დინამოელებს, მაგრამ შეხვედრა მაინც უგოლოდ ჩამთავრდა. თუმც თბილისურმა ფრემ ლიდერად ქუთაისის „ტორპედო“ აქცია, გუნდი, რომელსაც სეზონისწინა შეკრება არ გაუვლია და ფინანსურად დღესაც უჭირს — უფულო სამგზის ჩემპიონი დღესდღეობით პირველ ადგილზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ე, ბიჭო, გაგვასწრო ტორპედომ




შეხვედრა ჰაერში: დინამოელი ჟაბა დვალი და ზაზა ლაცაბიძე (მარჯვნივ)

**კობა ინასარიძე**

„ვისლასთან“ ოთხი დღის წინ პირველმატჩმოლეულმა „დინამომ“, მეტოქე პოლონელებისა არ იყოს, შინაურ ჩემპიონატში ველარ ივარგა და ფრეს დასჯერდა. „ვისლამ“ თუ გუშინწინ „ამიკასთან“ 1:1 იკმარა, „დინამომ“ საერთოდ ვერ მოახერხა გოლის გატანა. ამით რისი თქმა გვსურს? იმის, რომ ხუთშაბათის კრაკოვულ მატჩს მეტოქეთათვის ნამეტანი ბევრი ენერგია წაურთმევია და ძალების აღსადგენად სამი-ოთხი დღე საკმარისი არ ყოფილა.

„დინამომ“ „ვისლასთან“ ნათამაშევთაგან ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი დაასვენა, ამათგან ნემსაძე და გონჩაროვი გუშინ განაცხადშიც არ იყვნენ, ჭიჭვეიშვილს, ალადაშვილსა და შაშიაშვილს არ უთამაშიათ, სათადარიგო კანდელაკმა კი ნახევარი საათის შემდეგ ბარძაყის კუნთდაჭიმული კაპიტანი კვირკველია შეცვალა, არაფერს ვამბობთ მეკარე ზოიძეზე, რომელიც გუნდს ერთი თვე ველარ დაეხმარება.

„ლოკომოტივი“ კი პირიქით, კარგად დასვენებულ-მომზადებული, საბრძოლო შემადგენლობით შეხვდა გუშინდელ მატჩს.

ჰოდა, გასაკვირიც რა იყო, დალილ-დაქანცულ, შემადგენლობაგადახალისებულ მასპინძლებს რკინიგზელებმა ორ-სამჯერ ისეთი მომენტი რომ შეუქმნეს, გოლი თითქოს გარდუვალი ჩანდა.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

**საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი 16 ლიგა — 7 ტური**

თბილისი. 20 სექტემბერი. 19 საათი. ეროვნული. 1 000 (ტევადობა 70 600)

## დინამო 0:0 ლოკომოტივი

**დინამო:** მამალაძე, სალუქაძე, კაშია, კვირკველია (კანდელაკი 31), გიგაური, გრიგალაშვილი, კანკავა, კაკალაძე (ხმალაძე 77), ბურდული, მელქაძე, ლ. ახალაია (დვალი 85)
*სათადარიგონი:* თოთლაძე, ჭიჭვეიშვილი, შაშიაშვილი, კ. ალადაშვილი
**მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

**ლოკომოტივი:** გვარამაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, რ. ონიანი, სიჭინავა, ქებაძე, ზ. ლაცაბიძე, სანიკიძე, ვ. გაგუა (გოგობერიშვილი 70), ბობოხიძე
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; გ. ახალაია, ლ. ჩხაიძე, სოსელია, სირბილაძე, მედოევი
**მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე

**გაფრთხილება:** ბობოხიძე (24)

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

ჯერ ის იყო, როინ ონიანმა აუტიდან ჩვეულად, საჯარიმოში რომ ჩაჰკიდა ბურთი, რომელიც ტანმაღალმა ლაცაბიძემ იქვე ბობოხიძეს დაუგდო, შვიდი-რვა მეტრიდან მისი დარტყმული კი ძელმა აისხლიტა.

მერე მეორე ტაიმი და კვლავ სტუმართა მწვავე შეტევები იყო. ბობოხიძეს, სიჭინავასა და ქებაძეს შეეძლოთ გატანა, მაგრამ მიზანში ვერ მოარტყეს, იყოჩაღა „დინამოს“ მეკარე მამალაძემაც.

აი, სულ ესაა, რისი თქმაც მატჩზე შეიძლება. „დინამოს“ თუ თამაში არ გამოსდიოდა და ეს მეტნაკლებად მოსალოდნელი იყო, „ლოკომოტივს“ მაინც უნდა გამოეჩინა მეტი ფხა და ცოტაც გაერისკა. თუმც რკინიგზელებსაც რა აქვთ სასაყვედურო, სტუმრად, „დინამოსთან“ თამაშობდნენ და „ეროვნულიდან“ ქულა წაიღეს. სტუმართათვის მთავარი კარის შენახვა იყო, რაც უნაკლოდ შეძლეს, თანაც ისე, კარში მასპინძლებს სახიფათოდ ერთხელაც რომ არ დაარტყმევინეს.

ყველაზე მეტი კი „ეროვნულის“ მეორე იარუსზე მოკალათებულმა „დინამოს“ ერთმა ფანმა ინერვიულა — ე, ბიჭო, გაგვასწრო „ტორპედომ“. ამ და მსგავსი შეძახილებით დანარჩენი ქომაგობაც ხალისობდა. თავად „ტორპედოს“ მწვრთნელი ოთარ გაბელია კი, რა თქმა უნდა, სტადიონს კმაყოფილი ტოვებდა. ამდენ წუწუნ-წუწუნში გაბელიას „ტორპედო“ კი გალიდერდა და...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 6 | 1 | 0 | 13:1 | 19 |
| დინამო | 7 | 5 | 2 | 0 | 20:4 | 17 |
| თბილისი | 7 | 5 | 1 | 1 | 17:8 | 16 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:3 | 12 |
| ბათუმი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:6 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 1 | 3 | 12:12 | 10 |
| სიონი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:22 | 6 |
| დილა | 7 | 1 | 0 | 6 | 6:14 | 3 |
| კოლხეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 3:15 | 3 |
| ზესტაფონი | 7 | 1 | 0 | 6 | 5:20 | 3 |




დიდი ხნის უთამაშებელი ლადო ახალაია (მარცხნივ) მოედანს გუშინ დაუბრუნდა და შესაძლოა „ვისლასთანაც“ ვიხილოთ

## საუკეთესო

### მიხეილ ბობოხიძე



*ექსდინამოელი მიხეილ ბობოხიძე ძალიან მონდომებული გახლდათ. ლოკომოტიველთა ეული ფორვარდი ყველა ბურთზე გაიქცა, ყველა ბურთზე იბრძოლა და თითქმის ყველა ბურთი მოიგო. მის წინააღმდეგ ყველაზე ხშირად ლაშა სალუქვაძე თამაშობდა, მაგრამ ბობოხიძე მეურვეს ძალიან ხშირად ჯობნიდა სისწრაფის, მოხერხებულობის თუ ჯანის წყალობით.*

*მატჩის ერთადერთი რეალური საგოლე მომენტიც ბობოხიძეს ჰქონდა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა — შეიძლება ითქვას, რომ „დინამო“ ექსდინამოელს გადაურჩა.*



# ქინქლაძე ფეხბურთს კვიპროსით უბრუნდება?

**წელიწადზე მეტია,** გიორგი ქინქლაძე უგუნდოდაა. ბოლოს ის ინგლისის პირველი დივიზიონის „დერბი ქაუნთიში“ გამოდიოდა და 2002-03 წლების სეზონში გულშემატკივრებმა ის კლუბის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. თუმც ეს ამბავი რა მოსატანია — იყო დრო, ინგლისურ პრემიერლიგაში მოთამაშე ქინქლაძეზე ბევრს და აღტაცებით ლაპარაკობდნენ.

გუშინ ქინქლაძე კვიპროსზე ჩავიდა და ფამაგუსტაში გაჩერდა. იქაურ „ანართოსისში“ თემურ ქეცბაია მოთამაშე-მწვრთნელი გახლავთ და კიდევ სამ ქართველსაც ათამაშებს — გიორგი გაბიდაურს, კობა წიტაიშვილს და დავით ჩალაძეს.

მოკლედ, დღეს ქინქლაძე კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდება და ამის მერე გაცხადდება, ქინქლაძე-„ანართოსისის“ ურთიერთობა და იქნებ ქინქლაძე ფეხბურთელობასაც დაუბრუნდეს.

ქინქლაძე 31 წლის გახლავთ, ეროვნულ ნაკრებში 53 მატჩი უთამაშია და 8 გოლი გაუტანია.

**დავით თავართქილაძე**

**ინგლისი**
პრემიერლიგა. VI ტური
მანჩესტერ იუნ. 2:1 ლივერპული

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. IX ტური
ლორიანი 1:1 გენგამი

**პორტუგალია**
სუპერლიგა. III ტური
სპორტინგი 0:1 მარიტიმუ

**შვედეთი**
სუპერეტა. XXV ტური
გაის — კაფე ოპერა გადაიდო

**ირლანდია**
პრემიერლიგა. XXVI ტური
შელბურნი 2:1 სენტ პატრიკსი

**რუსეთი**
პრემიერლიგა. XXIII ტური
ზენიტი 3:1 ტორპედო

**უკრაინა**
უმაღლესი ლიგა. VII ტური
დნიპრო 1:2 დინამო
მეტალურგი (დ) 2:1 ილიჩევეცი



რატი წინამძღვრიშვილის იმედი თამაზ კოსტავას ტურნირამდეც ჰქონდა

# რეტი რატისგან
## ერთი თავი ბერძნებთანაც გვინდა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი რიხით დაიწყო. გუშინ თამაზ კოსტავას შეგირდებმა 4:1 დაამარცხეს მაკედონიელი თანატოლები და ჯგუფში პირველ ადგილზე არიან.

ბალკანელებს გოლები ამერელმა და ორმა ყოფილმა ამერელმა გაუტანეს. რატი წინამძღვრიშვილმა მე-7 და 31-ე წუთებზე იყოჩაღა, ამათ შორის გუნდის კაპიტანმა გიორგი განუგრავამ (მე-10 წუთზე) გაისროლა შედეგიანად, წერტილი კი მე-80 წუთზე ბექა გოცირიძემ დასვა

თამაზ კოსტავამ მაკედონიასთან ასეთი სასტარტო თერთმეტეული ათამაშა: *თევდორაძე — ფირანიშვილი, მამნიაშვილი, ელბაქიძე — მჭედლიშვილი, ნასრაშვილი, განუგრავა, ნიკოლაიშვილი — გოცირიძე — ბარაბაძე, წინამძღვრიშვილი.*



ნამატჩევს თამაზ კოსტავას ფინეთში რომ შევეხმიანეთ, ცხადია, კარგ ხასიათზე იყო...

— ძალიან კმაყოფილი ვარ, პირველ ტაიმში მაკედონიას ერთი თავით ვაჯობეთ. მერე ანგარიშის შენარჩუნებაზე ვიფიქრეთ და ბიჭებმა დაცვაშიც უშეცდომოდ ითამაშეს. მატჩის ბოლოს კი მეტოქე კონტრშეტევაზე დავიჭირეთ.

— სხვა მეტოქეთა თამაში არ გინახავთ?

— ვერ მოვახერხე, მაგრამ კასეტა გადმომცეს და ახლა გავარჩევთ საბერძნეთ—ფინეთს.

— ალენ ჟირესი ხომ არ დასწრებია მაკედონიასთან მატჩს?

— არა, როგორც ვიცი, ჟირესი ბოლო თამაშზე ჩამოვა.

შეგახსენებთ, რომ ხვალ საქართველოს ნაკრები საბერძნეთს შეხვდება. გუშინ ბერძნებმა 2:1 მოუგეს ტურნირის მასპინძელ ფინეთს. ასე რომ, დღეს ქართველებმა თუ იმარჯვეს, მომდევნო ეტაპის საგზურს ვადამდე გაინაღდებენ. თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ პირველ-მეორე ადგილებს ცალკე მნიშვნელობაც აქვთ — პირველობის შემთხვევაში ჩვენებს შედარებით იოლ ჯგუფში მოუწევთ ევროპის ჩემპიონატისკენ სავალი გზის გავლა.

**ქახა შალამბერიძე**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# რა ვქნა?!
## იმას გავაკეთებ, რაც არ შემიძლია



ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტური გუშინდელი „დინამო“ — „ლოკომოტივით“ ჩამთავრდა, მაგრამ თუ ტურის რომელიმე გამორჩეულ ფეხბურთელზე ვიტყვით, პირველ რიგში სანდრო იაშვილზე უნდა ითქვას — „ვიტ ჯორჯია“ — „თბილისის“ მატჩში ის საუკეთესო იყო — „დინამოდან“ „თბილისში“ განათხოვრებულმა ფორვარდმა ვიტელებს გოლიც გაუტანა და საგოლე პასიც მიითვალა

— რაც „ვიტ ჯორჯიასთან“ გააკეთე, ეს შენი შესაძლებლობების რამდენი პროცენტი იყო?

— მეტიც შემიძლია, უფრო ენერგიულადაც შემწევს თამაში, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან“ ენერგია ლაპარაკშიც დავხარჯე.

— არ არსებობს ფეხბურთელი, მატჩის დროს ხმას არ იღებდეს...

— ჰო, მაგრამ ვგრძნობ, რომ ენერგია ლაპარაკსაც მიაქვს. ფეთქებადი ვარ, რაც პროფესიონალისთვის მთლად კარგი არ უნდა იყოს — ერთხელაც შეიძლება ისე ავფეთქდე, რომ საკუთარი გუნდი ათი კაცით დატოვო.

— „თბილისში“ უკვე ორი მატჩი ითამაშე და როგორ ფიქრობ, შეუძლია ამ გუნდს სერიოზული კონკურენციია გაუწიოს „დინამოს“?

— კონკურენცია კი არა, „დინამოს“ მოვუგებთ კიდეც — თუ მოვინდომებთ და მწვრთნელის დავალებას შევასრულებთ, ეს ნამდვილად შეგვიძლია.

— „თბილისში“ იჯარით ხარ და რამდენი ხნით აპირებ იქ დარჩენას?

— პირველ წრეს „თბილისში“ ჩავამთავრებ, მერე კი ვნახოთ, რა როგორ იქნება. „დინამოს“ კი კონტრაქტით კიდევ წელიწადნახევარი ვეკუთვნი.

— „დინამოში“ დაბრუნებას გამორიცხავ?

— „დინამოში“ დაბრუნება გამორიცხულია. „დინამოდან“ წამოსვლის წინ გია გეგუჩაძემ მითხრა, ძირითადში ვერ მოხვდები, ჩვენს სათამაშო სტილში ვერ ჯდებიო.

— „დინამოდან“ რომ წამოხვედი, ჯერ რუსული პრემიერლიგის „კრილიას“ მიაშურე, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა...

— „კრილიაში“ რომ მივედი, საზარდულმა შემაწუხა. მწვრთნელმა მითხრა, ნუ ინერვიულებ, ოპერაციას ჩვენ გაგიკეთებთო. ჰოდა, სამედიცინო შემოწმებაზე მოსკოვში ჩავედი. მაგრამ ამის მერე „კრილიას“ ხელმძღვანელობამ ჩემს ტრანსფერზე ყოყმანი დაიწყო, ტრავმიანი ფეხბურთელის შეძენას მოერიდა. მაინც მოსკოვში დავრჩი, საზარდული უოპერაციოდ, ნემსებით მოვირჩინე. ახლა „თბილისში“ იმიტომ ვარ, რომ ფეხბურთი ვითამაშო და ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ყურადღება მივიქციო. ვფიქრობ, თუ ეროვნულ ნაკრებში ვითამაშებ, ყველა კმაყოფილი დარჩება.

— ახალგაზრდულ ნაკრებს უკვე განვლილ ეტაპად მიიჩნევ...

— რა თქმა უნდა, არა — ახალგაზრდულიც ეროვნული გუნდია, იქაც ეროვნული ღირსება უნდა დაიცვა, მაგრამ... ეროვნულ ნაკრებში იმასაც კი გავაკეთებ, რაც არ შემიძლია.

— და რა არის ის, რაც არ შეგიძლია?

— ეგ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ის კია, რომ ძალიან საპასუხისმგებლო მომენტებში არ ვიბნევი, კონცენტრაციას არ ვკარგავ და ყოველთვის ყველაფერს კარგად ვაკეთებ.

— „დინამო“-რუსეთი-„თბილისი“ — რა შეგძინა დროის ამ მონაკვეთმა?

— საკუთარ თავს შენ უნდა მიხედო, ყველას არ უნდა ენდო, შენი აზრი უნდა გქონდეს ყველაფერზე და მხოლოდ ერთი გზა უნდა გქონდეს არჩეული.

— და რა იქნება ამ გზაზე სანდრო იაშვილის მორიგი ნაბიჯი?

— იმაზე უკეთ უნდა ვითამაშო, ვიდრე ეს „ვიტ ჯორჯიასთან“ მოვახერხე და... ეროვნულ ნაკრებში მინდა თამაში და რა ვქნა?!

**დავით თავართქილაძე**



სანდრო იაშვილმა მარტო ყველაზე მაღლა ახტომა არ იცის, ისიც იცის, რომ ყველამ თავისი ჯვარი უნდა ზიდოს

# ასათიანმა მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მესამე...

# კახა კალაძის NUOVO CENTO

*კახა კალაძე პირველად გამორჩნდა წლევანდელ სერია A-ში.* „მილანის" ქართველი მცველი, ვინც შავ-წითელი მაისურა უკვე ასმეერთედ მოირგო, „ბოლონიასთან" მატჩში ძირითადში იყო, თუმცა 58-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე კახამ გაფრთხილების მიღებაც მოასწრო, მისმა გუნდმა კი ბოლო წუთებზე გატეხა მასპინძლები და სეზონის პირველი სამი ქულა გაიყოლა შინ. ორი ტურის მერე ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტი „მილანი" მეოთხე ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

*მწვრთნელშეცვლილი „შალკე" საკუთარ თავს ემსგავსება.* ედი ახტერბერგის გაწვრთნილი გელზენკირხენელები უეფას თასზეც ყოჩაღობენ (ხუთიოდ დღის წინ ლატვიური „მეტალურგსი" 5:1 მიანგრიეს) და ბუნდესლიგაშიც გაიხსენეს მოგების გემო. „შალკემ" დაძაბულ ბრძოლაში 3:2 სძლია მიონხენგლადბახის „ბორუსიას". *ლევან კობიაშვილი* ჩვეულად ძირითად შემადგენლობაში იყო და მოედნის ცენტრში ცდილობდა მეტოქის შეტევების ჩაშლას. „შალკემ" კი ამ მოგებით სახიფათო ზონასაც დააღწია თავი და ახლა მეთორმეტე ადგილზეა.

რთული მატჩი გადაიტანა „ფრაიბურგმაც". ზოგადად, ფოლკერ ფინკეს გუნდისთვის „ბოხუმთან" შინ დაკარგული ორი ქულა წარუმატებელი შედეგია, თუმც თამაშის სიუჟეტიდან გამომდინარე, ფრაიბურგელები 1:1-ითაც კმაყოფილები უნდა იყვნენ. „ბოხუმი" თავიდანვე დაწინაურდა და *იაშვილ-ცქიტიშვილის* გუნდმა ბოლოსღა გაათანაბრა. ალექსანდრე მწვრთნელმა 85-ე წუთზე შეცვალა, ლევანმა კი სრულად ითამაშა, ოღონდ გაფრთხილებასაც გამოჰკრა ხელი.

უიღბლო ტური ჰქონდა *დავით სირაძეს.* ჩვენებური ოცი წუთის შესული იყო მოედანზე, მსაჯმა წითელი ბარათი რომ აუფრიალა. „ტრირმა" 2:2 ითამაშა „ალენთან" და ორი საფეხურით დაქვეითდა. სირაძის საკითხს კი სადისციპლინო კომიტეტი უახლოეს დღეებში განიხილავს და ქართველ ნახევარმცველს, სულ მცირე, ორმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოუწერს.

*შედარებით კარგი ამბავია შოტლანდიიდან,* მაგრამ იქაურ პრემიერლიგაში *ზურაბ ხიზანიშვილის* გამოჯანმრთელებასთან ერთად, რაოდენ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, „რეინჯერსის" მოგებაც გამოსარჩევი ამბავია. „ჩაფრები" ისე დაძაბუნდნენ, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება წაიფორხილონ. ამჯერად „რეინჯერსმა" მოახერხა და უსახელო „ინვერნესი" 1:0 დაამარცხა. ხიზანიშვილმა კი თურქებთან სანაკრებო თამაშისას მიღებული ტრავმა მოირჩინა და მთელი მეორე ტაიმი ითამაშა, ოდნავ მოგვიანებით ჩაერთო თამაშში *შოთა არველაძე.*

*ფაქტობრივად საჩემპიონო მატჩი წააგო მოსკოვის „ლოკომოტივმა".* რკინიგზელები პრემიერლიგიდან პრაქტიკულად გავარდნილ ვოლგოგრადის „როტორს" დაეჩაგვრინნენ, რამაც ცესკას და „ზენიტს" ხელფეხი გაუხსნა. არადა, მასპინძლები უზომოდ დიდ უპირატესობას ფლობდნენ და ვალდებულებიც იყვნენ, მოეგოთ. გოლის გატანის შანსი გამოჯანმრთელებულ, მაგრამ მოგვიანებით ისევ დაშავებულ *მიხეილ აშვეთიასაც* ჰქონდა. მიხომ მე-20 წუთზე შეაგდო კიდეც, მაგრამ მანამდე მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა და გოლიც, ცხადია, გაუქმდა. ცოტა ხნის მერე *მალხაზ ასათიანმა* მოატყუა ნახევარი „როტორი", მაგრამ მის ჩაწოდებულს არავინ გამოეხმაურა. მე-60 წუთზე კი აშვეთიას ერთხელაც უმტყუნა ბედმა — მეტოქესთან შეჯახებისას ფეხი იტკინა და, სულ მცირე, ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს.

რუსეთის პირველ დივიზიონში *ზაზა ჯანაშია* გამოირჩა. კალინინგრადის „ბალტიკას" ჭირვეული თავდამსხმელი წინა ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, ახლა კი გოლიც გაიტანა. „ბალტიკა" მახაჩყალის „ანჟის" 3:3 დაუზავდა. არადა, ჯანაშიას გოლის მერე მასპინძლები 2:0 იგებდნენ. ზაზას გარდა მოედანზე კიდევ სამი ქართველი იყო — მისივე თანაგუნდელი *რომან ახალკაცი* და ანჟელები, *კახა ცხადაძე* და *კახა მჟავანაძე.*

**ბაჩა შალამბერიძე**



ზაზა ჯანაშია რუსულ პირველ დივიზიონში ვარსკვლავობს

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ბოლონია 2:0 | 58 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 1 | 0 | 4 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | გლადბახი 3:2 | 90 | | 4 | 0 | 12 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბოხუმი 1:1 | 85 | შეცვალეს | 5 | 0 | 8 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ბოხუმი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 8 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | უნტერჰახინგი 1:4 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 8 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | ალენი 2:2 | 20 | შეცვლაზე ითამაშა, გააძევეს | 2 | 0 | 15 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | ინვერნესი 1:0 | 39 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 2 | 3 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | ინვერნესი 1:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 3 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | აუსტრია 0:2 | 41 | შეცვალეს | 9 | 2 | 9 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | როტორი 0:1 | 90 | | 15 | 1 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | როტორი 0:1 | 59 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 13 | 0 | 3 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | შ | სატურნი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 5 | 0 | 10 |
| მამუკა ლომიძე | როსტოვი | შ | სატურნი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | ცსკა 1:4 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 12 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | ცსკა 1:4 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 1 | 12 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ალანია | შ | ცსკა 1:4 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 1 | 12 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | შ | ამკარი 3:1 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 13 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ზენიტი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | ს | ბალტიკა 3:3 | 90 | | 14 | 0 | 10 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ბალტიკა 3:3 | 88 | შეცვალეს | 25 | 0 | 10 |
| ედიკ საჯაია | არსენალი | ს | გაზოვიკი 2:0 | 90 | | 23 | 0 | 11 |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | ს | კამაზი 2:2 | 0 | სათადარიგო | 23 | 1 | 2 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნეფტეხიმიკი | შ | მეტალურგი 1:4 | 90 | | 24 | 4 | 16 |
| რევაზ გოცირიძე. | კამაზი | შ | სოკოლი 2:2 | 0 | სათადარიგო | 10 | 0 | 4 |
| ზაზა ჯანაშია | ბალტიკა | შ | ანჟი 3:3 | 90 | 1 გოლი | 8 | 2 | 20 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | შ | ანჟი 3:3 | 0 | | 9 | 1 | 20 |
| რომან ახალკაცი | ბალტიკა | შ | ანჟი 3:3 | 90 | | 10 | 0 | 20 |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | სკა-ენერგია 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 7 |
| ვალერი აბრამიძე | ხიმკი | შ | სკა-ენერგია 0:1 | 0 | | 4 | 0 | 7 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | ს | დინამო 0:1 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 1 | 18 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | ილიჩევეცი 2:1 | 45 | შეცვალეს | 6 | 0 | 3 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ილიჩევეცი 2:1 | 90 | | 7 | 3 | 3 |
| გიორგი გახოკიძე | მ. დონეცკი | შ | ილიჩევეცი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 3 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | ს | დნიპრო 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 6 | 1 | 15 |
| გია ჭანტურია | ტავრია | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 0 | | 2 | 0 | 15 |
| გიორგი იმედაძე | ტავრია | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 15 |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 68 | შეცვალეს | 6 | 2 | 15 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | შახტარი 1:3 | 26 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 14 |
| ლაშა ჭელიძე | მ. ზაპოროჟიე | შ | შახტარი 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 14 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ობოლონი 0:0 | 85 | შეცვალეს | 6 | 1 | 5 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | შ | კატოვიცე 0:0 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 11 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | აუდა 6:1 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 3 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | აუდა 6:1 | 0 | | 15 | 3 | 2 |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | ს | აუდა 6:1 | 90 | | 8 | 2 | 2 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | | ტური გამოტოვა | | | 5 | 1 | 3 |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | ს | რიგა 0:0 | 89 | შეცვალეს | 20 | 1 | 4 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნიკურაძე | კტპ | შ | ალიანსი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 9 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | ბეროე 3:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 5 | 2 | 1 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | შ | ლოკომოტივი 2:0 | 0 | | 1 | 0 | 12 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | შ | ლოკომოტივი 2:0 | 90 | | 3 | 0 | 12 |
| ლევან კაპანაძე | ბელასიცა | ს | ვიდიმა 1:1 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ლევან მიქაძე | ბელასიცა | ს | ვიდიმა 1:1 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| **მოლდოვა. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | ს | ნისტრუ 1:0 | 90 | | 5 | 0 | 1 |
| მურთაზ ბურნაძე | შერიფი | ს | ნისტრუ 1:0 | 90 | | 3 | 0 | 1 |
| რომან გოგინაშვილი | შერიფი | ს | ნისტრუ 1:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| ამირან ყველაშვილი | შერიფი | ს | ნისტრუ 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| პაველ ხორგუაშვილი | შერიფი | ს | ნისტრუ 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა კვეტენაძე | ორდაბასი | | ტური გამოტოვა | | | 20 | 0 | 14 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | ტობოლი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 15 | 0 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა



შერცხვენილი მადრიდელები: რონალდო, მიჩელ სალგადო, მაიკლ ოუენი...

გუშინ შუადღისას მადრიდის „რეალის“ მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა ხოსე ანტონიო კამაჩო. გადადგომის ფორმა ასეთი იყო: კამაჩო შეხვდა „რეალის“ შეფობას, უპირველეს ყოვლისა პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს, რომელმაც თხოვნაზე უარი არ უთხრა და პოსტიდან მოხსნა, ოღონდ ეგ არის, კლუბში რაღაც თანამდებობაზე უპირებს დატოვებას. კამაჩოს ადგილს, კამაჩოსავე მითითებით თუ რეკომენდაციით — ვერ გეტყვით რამდენი ხნით — დაიკავებს მისი ასისტენტი მარიანო გარსია რემონი



ხოსე ანტონიო კამაჩო და ფლორენტინო პერესი ერთმანეთს კეთილად დაშორდნენ

# კაცობაში გაღებული კარი

## კამაჩო მიხვდა, რომ ამ ხალხთან ვერაფერს გახდებოდა



– ზინედინ ზიდანი–

„რეალის“ შეფებს მიაჩნიათ, რომ რემონი, როგორც კამაჩოს მოადგილედ ნამუშევარი, გუნდში დისონანსს ვერ შეიტანს და ძირითადად იმავე მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას, რა მიმართულებითაც მისი წინამორბედი მუშაობდა. შეგახსენებთ „რეალის“ შედეგებს ახალ სეზონში: ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში მადრიდელებმა სტუმრად 1:0 მოუგეს „მალიორკას“. მეორე ტურში შინ „ნუმანსიასთან“ წვალებით და ქომაგების სტვენის თანხლებით გაიმარჯვეს იმავე ანგარიშით, ამის შემდეგ „სამეფო გუნდი“ ჩემპიონთა ლიგაში დამარცხდა — „ლევერკუზენმა“ გერმანიაში 3:0 მოუგო, ხოლო იქიდან ისევ „ლა ლიგაში“ დაბრუნებული „ესპანიოლთან“ დამარცხდა 0:1. ასეთი შეურაცხმყოფელი შედეგების შემდეგ, ხოსე ანტონიო კამაჩომ დაგროვებული პრობლემების განსახილველად, კვირა დილით, რაული და სხვა ღვაწლმოსილი მოთამაშეები, ეგრეთწოდებული კაპიტნები დაიბარა, ესაუბრა და ამ საუბრიდან ერთი ხნის შემდეგ გადადგომა გადაწყვიტა. როგორც ჩანს, სიმკაცრით ცნობილმა მწვრთნელმა — რომელმაც, სხვათა შორის, „ესპანიოლთან“, ეტყობა გამოფხიზლების მიზნით არ ათამაშა თვით რაული და დევიდ ბექემი — ხსენებული საუბრის დროს აღმოაჩინა, რომ ამ მდიდარ ხალხთან ვერაფერს გახდებოდა.

რა უნდა დაიკვეხნოს ხოსე ანტონიო კამაჩომ? მხოლოდ ის, რომ „რეალში“ მწვრთნელად მეორედ მისვლა პირველზე ხანგრძლივი გამოუვიდა — ამჯერად მთელი ოთხი თვე (მართალია ზაფხულის, მაგრამ მაინც) გაძლო თანამდებობაზე, 1998 წელს კი 23 დღეში წავიდა. მაშინდელი წასვლის მიზეზი ის გახლდათ, რომ კამაჩო იმდროინდელ პრეზიდენტს, ლორენსო სანსს ფიზიკური მომზადების მწვრთნელად კარლოს ლორენსანას აყვანას თუ მისთვის ხელფასის მომატებას სთხოვდა, რაზეც უარი მიიღო.

ასე და ამგვარად, კამაჩოს და „რეალის“ თანამშრომლობა აგერ უკვე მეორედ არ გამოვიდა, რაც ძალიან უცნაურია, ვინაიდან კამაჩო ფეხბურთელობის დროს 15 წლის განმავლობაში ბერნაბეულ ინჩასთა ერთ-ერთი კერპი იყო. აი, ახლაც, მწვრთნელად რომ ინიშნებოდა, იგი ამბობდა, რომ თავს შინ გრძნობდა, სახლში, რომლის კარიც თავიდან ბიჭობაში შეაღო, ახლა კი კაცობაში აღებს... და დახვდა დევიდ ბექემი, რაული, ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ, რონალდო, რობერტო კარლოსი, 1998, 2000 და 2002 წლის ჩემპიონთა თასები, სახელი და დიდება. შემდეგ თავად კამაჩომ მოითხოვა ახალი ფეხბურთელების დამატება: პერესმაც არ დაამადლა, უყიდა ჯერ ვალტერ სამუელი და შემდეგ 45 მილიონ ევროდ ჯონათან ვუდგეიტი და მაიკლ ოუენი. ერთადერთი, რაც პრეზიდენტმა ვერ შეძლო, „არსენალიდან“ პატრიკ ვიეირას გადაყვანა გახლდათ, მაგრამ...

დანარჩენი მარიანო გარსია რემონზეა.

**პაპუნა ძიძია**




– დევიდ ბექჰემი–



– იკერ კასილიასი

# შვედიო?!

## ერიკსონი ბრიტანელებმა მადრიდში გაუშვეს



**ხოსე ანტონიო კამაჩო**

გადამდგარი არც იყო, რომ ინგლისურმა გაზეთებმა უკვე ატეხეს ხმაური, „რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს ახალ მწვრთნელად ჩვენი ნაკრების შვედი მენეჯერი სვენ გორან ერიკსონი ენდომებაო.

მადრიდიდან ლონდონში ჯერ არავის დაურეკავს, მაგრამ ყველას ახსოვს, რომ შარშან პერესი შვედის ინგლისელებისთვის ართმევას ცდილობდა.

ერიკსონს 2008 წლამდე აქვს ნაკრებთან კონტრაქტი, თუმცა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში მთლად კარგი თვალით აღარ უყურებენ, ევრო 2004-ის ჩაგდებისა, და მდივან ქალ ფერია ელამთან რომანის შემდეგ.

ოღონდ, საქმე ისეა, რომ შვედი, რომელიც წელიწადში 5 მილიონ გირვანქას იღებს, ასოციაციისგან დათხოვნის შემთხვევაში 14 მილიონ გირვანქიან კომპენსაციას მიიღებს, ხოლო თუ თავისით წავა, სოჰოს მოედნის პატრონებისგან კაპიკსაც ვერ ეღირსება.

სვენის „რეალში“ მიწვევა ჯერჯერობით ინგლისური ტაბლოიდების ვარაუდად თუ ჩაითვლება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# კატალონია სამეფოს წამოაჯდა

| IV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| რეალი | : | ოსასუნა |
| ხვალ | | |
| ალბასეტე | : | მალიორკა |
| ბარსელონა | : | სარაგოსა |
| ბეტისი | : | ბილბაო |
| დეპორტივო | : | ვალენსია |
| სოსიედადი | : | რასინგი |
| ხეტაფე | : | ესპანიოლი |
| ლევანტე | : | ატლეტიკო |
| ვილიარეალი | : | სევილია |
| მალაგა | : | ნუმანსია |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანიოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| სარაგოსა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ოსასუნა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ვალენსია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| სევილია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| ნუმანსია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ლევანტე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| დეპორტივო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| მალაგა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| მალიორკა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ბილბაო | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ვილიარეალი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| სოსიედადი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ბეტისი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| რასინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| ალბასეტე | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |
| ხეტაფე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

**სულ** რაღაც ორი-სამი დღის წინ მესამე ტური დამთავრდა, რომ დღეს მეოთხე იწყება.

ტურსაც მწვრთნელშეცვლილი „რეალი" ხსნის, პამპლონის „ოსასუნასთან" საშინაო შეხვედრაში „სამეფო კლუბს" მარიანო გარსია რემონი გაიყვანს. ეჭვი არაა, გადაჭედილი „სანტიაგო ბერნაბეუც" თავისი ფეხბურთელებისგან ოდენ გამარჯვებას მოითხოვს. არადა, „რეალის" ლაზარეთს ბლომად ხალხი სტუმრობს: ლუიშ ფიგუმ „ლევერკუზენთან" ნატკენი ფეხი კიდევ ვერ მოირჩინა, ზინედინ ზიდანს რა ხანია, მხარი აქვს დაშავებული, ჯონათან ვუდგეიტი მარცხენა ფეხის ტკივილს უჩივის, ბორხას მუხლი აწუხებს, იკერ კასილიასმა თითი მოიტეხა, მისი კონკურენტი სესარი კი „ესპანიოლთან" მატჩში მეტოქესთან თავგანწირული შეჯახებისას დაშავდა. ჰოდა, არაა გამორიცხული, დღეს „რეალის" კარის დაცვა მესამე მეკარეს, სრულიად უცნობ დიეგო ლოპესს მოუწიოს. ამასთანავე, „ოსასუნასთან" ვერ ითამაშებენ წინა ტურის მატჩში გაძევებულ-დისკვალიფიცირებულები, ვალტერ სამუელი და მიჩელ სალგადო. სტუმრებს კი კრუჩაგა და ურუგვაელი რიჩარდ მორალესი დააკლდებიან. საეჭვოა ცენტრალური მცველის, კარლოს კუელიარის ბურთაობაც.

რაც შეეხება დანარჩენ თამაშებს, ხვალ მეოთხე ტურის ცენტრალურ მატჩზე უნდა ვთქვათ უპირველესად: ხავიერ ირურეტას „დეპორტივო" მშობლიურ „რიასორზე" კლაუდიო რანიერის ჩემპიონ „ვალენსიას" უმასპინძლებს.

ორივე გუნდი შეხვედრას დანაკლისით ხვდება — მასპინძელთაგან არ ითამაშებენ დიეგო ტრისტანი და მაურო სილვა, ხოლო სტუმრები პაბლო აიმარს მოისაკლისებენ.

ლიდერი „ესპანიოლი" კიკე ფლორესის „ხეტაფეს" დამარცხებასაც თუ შეძლებს, თავის ამბიციებს კიდევ უფრო გაიმყარებს.

ხოსე გონსალესის „ალბასეტე" „კარლოს ბელმონტეზე" „მალიორკას" დაუხვდება. კასტილიელებსაც და კუნძულებებსაც უცილობელი მოგება სწყურიათ, რამეთუ წინა, მესამე ტურში ვერაფრით გაიხარეს — „ალბასეტემ" „რომარედაზე" იქაურ „სარაგოსასთან" 3:4 წააგო, „მალიორკამ" კი შინ დათმო ანდალუზიურ „მალაგასთან".

ფრანკ რაიკარდის ხელში საოცრად ათამაშებულ-შეთამაშებული „ბარსელონა" კიდევ ერთი მატჩის მოგებისთვის იქაჩება — ამჯერად, კატალონიელები „სარაგოსას" უპირებენ გაბდღვნას. „ბარსა" ახლა ცხრილში მეორეა და თანაქალაქელ ლიდერსაც მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება.

მასპინძლებს ყველა ჯანზე ჰყავთ და რაიკარდსაც შეტევაში მდიდარი არჩევანი აქვთ — რონალდინიო, ეტოო, ლარსონი, ჟიული, დეკო... რომელი ერთი უნდა დატოვო სათადარიგოთა სკამზე, ყველას ერთად ხომ ვერ გაამწესებ ძირითადში? თუმც, როგორც ესპანელი ჟურნალისტები წერენ, „ბარსელონას" ჰოლანდიელი თავკაცი წინა მატჩებში არჩეულ ტაქტიკას არ უღალატებს და ერთადერთ, გამოკვეთილ ფორვარდს, კამერუნელ სამუელ ეტოოს შუიდან დეკო, ფლანგებიდან კი ჟიული და რონალდინიო დაეხმარებიან. საყრდენებად კვლავაც ხავი და ედმილსონი გამწესდებიან, ხოლო დაცვას ბელეტი-პუიოლი, მარკესი-ვან ბრონკჰორსტი მიხედავენ. კარში კი რა თქმა უნდა, ვიქტორ ვალდესი ჩადგება.

ერთი სიტყვით, სამეფო თასის მფლობელ „სარაგოსას" ჩვენი ვარაუდით „კამპ ნოუზე" კარგი დღე ნამდვილად არ ელის. და თუ, „ესპანიოლმაც" იყოჩაღა, კატალონიელები სრულიად ესპანეთს ზემოდან მოექცევიან.



„რეალს" საღსალამათი ბრაზილიელი რონალდო თუ დარჩა


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადონასთვის რეალი მწევარი ძაღლების ხროვაა

**თითქოს** თავისი გასაჭირი არ ეყოფოდაო, შერცხვენილ და სახელგატეხილ „რეალს" კიდევ ერთი გამბითურებელი გამოუჩნდა — ლეგენდარული დიეგო მარადონა.

სანამ კუბის სარეაბილიტაციო ცენტრში კვლავ გაემგზავრებოდა, ყველაზე დიდმა არგენტინელმა ერთ-ერთ რადიოინტერვიუში „სამეფო კლუბს", არც მეტი, არც ნაკლები... „მწევარი ძაღლების ხროვა" (!) უწოდა.

რამ გააგიჟა დიეგო? მისი აზრით, დღევანდელმა „რეალმა" ფეხბურთის თამაში საერთოდ დაივიწყა, ჯერ „ლევერკუზენთან" ნაწვნევი მარცხი და მერე უილაჯობა „ესპანიოლთან" საერთოესპანური კი არა, მსოფლიო ფეხბურთის სირცხვილია.

„მადრიდის „რეალის" მოთამაშეებს ფეხბურთის ანაბანისა არაფერი გაეგებათ. „ლევერკუზენთან" მატჩში მათ მაგივრად მე მრცხვენოდა. რობერტო კარლოსი და ბექემი მოედანზე მოხეტიალე აჩრდილები იყვნენ, დანარჩენებს კი ერთი სული ჰქონდათ, მატჩი დასრულებულიყო. იმას, რაც „რეალმა" გერმანელებთან გააკეთა, ყველაფერი შეიძლება დავარქვათ ფეხბურთის გარდა" — თქვა დიდმა ლეგენდამ.

და ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, გასაკვირი არ იქნება ის, რომ მარადონამ ევროპის საუკეთესო კლუბად ლონდონის „არსენალი" დაასახელა — არსენ ვენგერს ძალიან დაბალანსებული და ძლიერი გუნდი ჰყავსო, არგუმენტად კი 46 წაუგებელი მატჩი მოჰყავს.

**ლადო ხომერიკი**

# ამბავი შეშინებული და მიჯნურს დანატრებული ქალისა

## ვუდგეიტის საცოლე ჯადოქარს ჩაბარდა



**იცნობდეთ,** ეს კელი ჰოლმსია, მშვენიერი ალბიონელი მოდელი, მადრიდის „რეალის" ახალწვეულის, მცველ ჯონათან ვუდგეიტის საცოლე.

მაგრამ თუ ადრე, ამ ეშხიანი ქალისა და ვუდგეიტის ბედნიერებას ოდნავი ჩრდილი ამუქებდა — ყოფილი ლიდსელი მშფოთვარე ღამეული ცხოვრების მოყვარულია — ახლა კი მათ ერთად ყოფნა-ჩახუტებას ფრიად სერიოზული ბარიერი გადაელობა.

საქმე ისაა, რომ ლონდონსა და მადრიდს შორის საკმაო მანძილია, რაც ლამაზმან ჰოლმსს თავისი პროფესიული საქმიანობის ვუდგეიტთან მიჯნურობასთან შეთავსების უფლებას არ აძლევს. დიდი ამბავიო იტყვით, ჩაჯდეს თვითმფრინავში და...

აი, სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. ბრიტანული მედიის ცნობით, საბრალო კელის, „არსენალის" ფეხბურთელ დენის ბერხკამპის მსგავსად, თურმე ფრენის საშინლად ეშინია და ამის გამო ფიცხ ჯონათანს ვინძლო მადლიანი ხვევნა-ალერსი მოანატროს.

ბერხკამპისა ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ვუდგეიტზე თავდავიწყებით შეყვარებულმა გოგონამ უკვე მიმართა სასურველ ზომებს და... ჰიპნოზისტს რეგულარულად სტუმრობს.

გაგიკვირდათ არა? სად ფრენა, სად სიყვარული და სად ჰიპნოზი. მაგრამ, როგორც მასთან დაახლოებული ხალხი ამბობს, საკვირველი სტუმრობა სასურველ შედეგს მალე გამოიღებს და ფრენის შიშიც მალე მოეღება ბოლო.

და, ახლა მთავარი — ეს რომ გაიგეს, „რეალის" გაკენწვლის მოყვარული ენაკვიმატი კატალონიური გაზეთები მომხიბლავ კელის უკვე ურჩევენ: თუ ჰიპნოთერაპიის კურსმა გაამართლა, სანამ დროა, ის პატივცემული სპეციალისტი მადრიდშიც ჩაიყვანეო.

**ლადო ხომერიკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძელით დაბრუნება

*„მილანის“ ფორვარდი, ფილიპო ინძაგი კვირას, „ბოლონიასთან“ შეხვედრაში მოედანს დაუბრუნდა, ხოლო თამაშის შემდეგ ჟურნალისტებს უამბო თუ როგორ იგრძნო თავი ბედნიერ ადამიანად — შეგახსენებთ, ინძაგი კოჭის ტრავმამ ნახევარი წლით ჩამოაშორა საფეხბურთო მოვლენებს, „ბოლონიასთან“ შეხვედრაში კი თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მხოლოდ ბოლოსკენ შევიდა შემცვლელად*



ფილიპო ინძაგიმ რა დროს ჩემი ფეხბურთიდან წასვლააო

**„ძალიან** იმოქმედა ჩემზე იმან, რომ „მილანისა“ და „ბოლონიას“ ქომაგებმა ერთად დამიკრეს ტაში. თამაშის წინ ცოტა ვნერვიულობდი, მაგრამ ნერვიულობა მოედანზე ფეხის შედგმასთან ერთად გაქრა, რადგან თამაშის უდიდესი წყურვილი მქონდა“ — განაცხადა ფორვარდმა, რომელსაც „სტადიო დალ არაზე“ ცუდად ნამდვილად არ უთამაშია.

„ექვსი თვის გაცდენის შემდეგ მოედანზე დაბრუნება და პირველივე შეხებით ბურთის ძელისთვის გარტყმა კარგი ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია და ამ სახეობაში ყველაფერი ხდება“ — დასძინა თავდამსხმელმა, რომელიც ფორმის აღსადგენად დროს ითხოვს და ამბობს, რომ ხმები, თითქოს ტრავმებით დატანჯული ფეხბურთიდან წასვლას აპირებს, გადაჭარბებულია:

„ფეხბურთიდან წასვლაზე არასდროს მიფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთული პერიოდი გადავიტანე. საბედნიეროდ აქ, „მილანში“, ყველა მხარში ამომიდგა“.

ინძაგისთვის იმედის მომცემია ის გარემოებაც, რომ თვით იტალიის ნაკრების მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ გამოხატა თავისი დამოკიდებულება:

„ბედნიერი ვარ, ინძაგი საქმეს რომ დაუბრუნდა, მით უფრო, ასე ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ“.

**პაპუნა ძედია**



პაველ ნედვედი

# წავედი! არ წავედი!
## ოჯახსაც რომ სჭირდები, პაველ?

**პაველ ნედვედმა** თან თქვა და თან, აშკარად ჯერ არც უთქვამს, რომ შესაძლოა ფეხბურთის თამაში 2006 წლის შემდეგაც განაგრძოს.

„ჩვენ „იუვენტუსის“ პრეზიდენტს, ლუჩანო მოჯის დეკემბერში შევხვდებით და საბოლოო პასუხსაც იქ ვიტყვით — განმარტა ნედვედის აგენტმა — პაველი მომავალზე ფიქრობს და სულაც არ არის აუცილებელი, რომ 2006-ში ბურთის თამაშს თავის დაანებოს. ერთი, რაც ამწუთას დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ის არის, რომ თუ ნედვედი თამაშს მერეც განაგრძობს, ეს აუცილებლად „იუვენტუსში“ მოხდება“.

ახლა იმის შესახებ, თუ საიდან მოდის საუბრები ნედვედის ფეხბურთიდან წასვლის შესახებ: თავად ჩეხმა თქვა ერთი ხნის წინ, რომ როდესაც ტურინელებთან კონტრაქტის ვადა ამოეწურება, ფეხბურთელობას შეეშვება, რადგან გრძნობს, რომ ოჯახი მისგან მეტ ყურადღებას საჭიროებს. სხვა ამბავია, „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა ყველა ღონეს რომ ხმარობს 2003 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს ახალი ხელშეკრულება გაუფორმოს.

**პაპუნა ძედია**

# ბალეტის სოლისტი პატარა ჯადოქარი

*ხუან სებასტიან ვერონს მილანის „ინტერთან“ ერთად ჯილდოების მოხვეჭა სურს მას შემდეგ, რაც ინგლისში სამი სეზონი გაატარა. რაც შეეხება „ინტერს“, 1998 წელს უეფას თასის მოგების მერე, არაფრისთვის მიუღწევია და გასულ ზაფხულს საგრძნობლად გაძლიერებულ „შავ-ლურჯებს“ ამბიციებიც მოემატათ*



უყურე შენ? ხუან სებასტიან ვერონი ბალერონიც ყოფილა

**რობერტო მანჩინის** გუნდმა ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში „ვერდერთან“ 2:0 იმარჯვა, ხოლო ვერონმა მეორე საგოლე კომბინაცია წამოიწყო. ჯერჯერობით ისე ჩანს, რომ არგენტინელმა თავისი ადგილი იპოვა.

„ბოსებმა ბლომად ფული დახარჯეს გუნდის გასაძლიერებლად, ჩვენ კი, ფეხბურთელებმა, მათი იმედები უნდა გავამართლოთ“ — თქვა ხუან სებასტიან ვერონმა.

„ინტერის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი არგენტინელის თამაშით ყოველთვის მოხიბლული იყო, ახლა კი ეს ფეხბურთელი კლუბის ყოფილ პრეზიდენტ მასიმო მორატის კერპიც გახდა. „ვერონი მოედანზე ბალეტის სოლისტს წააგავს. ის თავისი საქმის დიდოსტატია. როცა მის თამაშს ვუყურებ, მგონია, რომ დანარჩენი ფეხბურთელები სპორტის სხვა სახეობიდან არიან“ — განაცხადა მორატიმ.

არგენტინელმა ინგლისში სამი სეზონი დაჰყო, მაგრამ ვერ აჩვენა ის თამაში, რითაც რომის „ლაციოში“ გამოირჩეოდა. „მანჩესტერ იუნაიტედში“ ადგილის დამკვიდრება გაუჭირდა და ამიტომ ლონდონის „ჩელსის“ ერთი წლით ათხოვეს. იტალიაში დაბრუნებულს ძველი ნაცნობები დახვდა: იგი მანჩინისთან ერთად ოდესღაც „სამპდორიაში“ და „ლაციოში“ თამაშობდა. „მილანის „ინტერში“ მხოლოდ მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, მაგრამ ყველაზე მეტად ადრიანომ გამაოცა. ბრაზილიელი ფორვარდი ფანტასტიკურია — აღნიშნა ვერონმა (მეტსახელად „პატარა ჯადოქარმა“) — გუნდს ჯერ კიდევ შეთამაშება სჭირდება. „ბაზელთან“ და „ვერდერთან“ არცთუ ურიგო ფეხბურთი ვაჩვენეთ, გუნდური სული იგრძნობოდა, მაგრამ სათამაშო ყაიდა დასახვეწი გვაქვს. ჩემპიონთა ლიგაში ძლიერი მეტოქეები გვყავს და იოლად ვერავის მოუგებ“.

„ინტერმა“ ჩემპიონთა თასი ბოლოს 40 წლის წინ მოიგო და, „პატარა ჯადოქარის“ აზრით, ძველი დიდების დაბრუნება გუნდს დღეს რეალურად ძალუძს. „ეს დამატებითი სტიმულია. ცხადია, ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვგრძნობთ, მაგრამ იმავდროულად ვიცით, რომ „ინტერი“ დღეს განსაკუთრებით ძლიერია. ჩვენ ისეთა დაგვრჩენია, სიძლიერე მოედანზე დავამტკიცოთ“.

**მაჩა ხუციშვილი**



დავიდ ტრეზეგემ და ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ერთმანეთი ჯერ კარგად უნდა გაიცნონ

# იცნობდეთ ერთმანეთს
## დავიდი და ზლატანი

**დავიდ ტრეზეგე** დარწმუნებულია, რომ „იუვენტუსს“ არაფერი აკლია საიმისოდ, რომ სერია A-ს ახალდაწყებულ ჩემპიონატში გაიმარჯვოს.

„ძალიან ბედნიერი ვარ — არ მალავს კვირას, „ატალანტას“ კარში ორი გოლის ავტორი — ჩვენ კონცენტრირებული და მოწადინებულები ვართ, რაც პირველად წინა კვირას, პირველ ტურში გამოვამჟღავნეთ, ხოლო მეორედ ახლა, მეორე ტურში, ბერგამოელებთან შეხვედრაში. ეჭვი არ არის, რომ სწორ გზას ვადგავართ“.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ტურინელები პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ, მათ ვერანაირი ჯილდო ვერ მოიგეს, ახალი სეზონი კი საერთო მოსაზრებით, ჩინებულად დაიწყეს — ერთადერთი გუნდია, რომელმაც ორი თამაშიდან ორი მოიგო და პლუს შუა კვირაში, ჩემპიონთა ლიგაში, ამსტერდამის „აიაქსს“ სტუმრად 1:0 აჯობა.

„ატალანტასთან“ შეხვედრაში საინტერესო ის გახლდათ, რომ „ბებერი ქალბატონის“ ახალმა მწვრთნელმა, ფაბიო კაპელომ თავდასხმაში ტრეზეგესა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის წყვილი ათამაშა ანუ ალესანდრო დელ პიერო სათადარიგოთა სკამზე დასვა.

„მე და იბრაჰიმოვიჩს დრო გვჭირდება ერთმანეთი კარგად რომ გავიცნოთ“ — განაცხადა ტრეზეგემ რომელიც აშკარად გრძნობს, რომ მათ წყვილს დიდი პერსპექტივა აქვს.

და ბოლოს, სერია A-ს მორიგი ტური ხვალ არის, „იუვენტუსი“ „სამპდორიას“ უნდა შეხვდეს. ცნობისთვის: „სამპდორია“ ტურინელების საპირისპირო მდგომარეობაშია, ორი თამაშიდან ორივეში დამარცხდა და ბოლო ადგილზეა.

„გენუელებთან ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან მათ ქულა არ აქვთ და მდგომარეობის გამოსწორება სურთ“ — დააგვირგვინა ტრეზეგემ.

**პაპუნა ძედია**

# სურკისმა უეფას თავ-ფეხი გაუგზავნა



იგორ სურკისი

„რომა" — „დინამოს" ჩაშლილი მატჩის თაობაზე უეფას სადისციპლინო კომიტეტი დღეს იმსჯელებს და განაჩენს გამოიტანს.

ამასობაში კი კიევის „დინამოს" პრეზიდენტმა იგორ სურკისმა განაცხადა, უეფას სადისციპლინო კომიტეტი „რომასთან" ჩაშლილი მატჩის გადათამაშებას თუ გადაწყვეტს, კიეველები ამ გადაწყვეტილებას არ გააპროტესტებენ.

„ჩვენ უეფას კანონმორჩილი წევრები ვართ და ნებისმიერ განაჩენს დავემორჩილებით. მიუხედავად ამისა, გუნდი, რომელიც 1:0-ს იგებდა კაცნაკლულ მეტოქესთან, გადათამაშებას არ იმსახურებს. ჩემი აზრით, სტადიონის დისკვალიფიკაცია და „რომასთვის" 0:3 ან საპირველტაიმო ანგარიშით (0:1) მარცხის ჩათვლა ყველაზე სამართლიანი იქნება" — თქვა სურკისმა.

არსებობს ძალიან მცირე შანსი იმისა, რომ „რომა" ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთონ. „მე გუნდის მოკვეთის წინააღმდეგი ვარ — დასძინა „დინამოს" პრეზიდენტმა — ფეხბურთელებმა გულშემატკივრების პროვოცირება მოახდინეს, მაგრამ თვითონ გუნდი ასეთ სასჯელს არ იმსახურებს. ეს ემოციაა, რომელიც ყოველ თამაშს ახლავს თან. უნდა დაისაჯონ ჩინოვნიკები, სტადიონი და ქომაგები, ოღონდ არავითარ შემთხვევაში — გუნდი. ფეხბურთელებისთვის ლუკმის წაგლეჯვა არასწორი იქნება. მომხდარის ჩემებური შეფასება უეფაში უკვე გავაგზავნე. დასკვნებისგან თავს შევიკავებ, რადგან ეს არაეთიკურია, თუმც აღვნიშნავ, რომ ყველაფერი „რომას" მოთამაშეთა უხეშობიდან დაიწყო. გარდა ამისა, უეფელებს ვიდეოფირიც ვაახლე, რომელშიც კარგად ჩანს, თუ როგორ ურტყამს უკნიდან ფილიპ მექსეში ფეხს მარის ვერპაკოვსკისს, ხოლო ფრანჩესკო ტოტი თავს ოლეგ გუსევს. ფეხბურთში მსგავსი რამ არ უნდა ხდებოდეს".

და აქვე ერთიც — რომაულმა კლუბმა იმ მატჩის შვედ მსაჯს, თავგატეხილ ანდერს ფრისკს ბოდიში ოფიციალურად მოუხადა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ფრანჩესკო ტოტი ანტონიო კასანოზე ზრუნავს

*ფრანჩესკო ტოტიმ თანაგუნდელებს, „რომასთვის" უძნელეს პერიოდში, ერთიანობისკენ მოუწოდა. საერთოდაც, ბოლოხანს კაპიტანი ნამდვილ ლიდერობას ცდილობს. ამის დასტური გახლდათ ის, რომ კვირას, „მესინასთან" თამაშზე, მიუხედავად იმისა, რომ დაშავებული იყო, გაემგზავრა და ბიჭებს უქომაგა, ხოლო მატჩის შემდეგ (რომაელებმა 3:4 წააგეს) განაცხადა: „ჩვენ პატიოსანი ადამიანების შეკრული ჯგუფი ვართ და ამ ძნელ პერიოდს აუცილებლად დავძლევთ"*

# არის კარგი კაპიტანი!
## ტოტიმ თავი შეიქო

მართლაც, გიჟური კვირა გადახდა „რომას". დაიწყო იმით, რომ სერია A-ს პირველ ტურში ანტონიო კასანო გაუძევეს მოედნიდან. ამ გაძევებას ფეხბურთელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავება და კასანოს რამდენიმე დღით სადღაც გადაკარგვა მოჰყვა. შემდეგ კი, ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოსთან" შეხვედრა ჩამწარდა — „დინამომ" მასპინძლებს პირველი ტაიმი (1:0) მოუგო, ხოლო შემდეგ მოედნიდან გასახდელისკენ მიმავალ მსაჯს, ანდერს ფრისკს ტრიბუნიდან მავანმა ხულიგანმა რაღაც საგანი (ამბობენ მონეტაო) ესროლა და შეხვედრაც ჩაშალა. ამ დღის კიდევ ერთი უიღბლობა ის გახლდათ, რომ ტოტიმ კუნთი იტკინა და ზემოხსენებულ „მესინასთან" მატჩში ვეღარ ითამაშა.

„ბოლოწამს გადავწყვიტე, თვითმფრინავი მექირავებინა და სიცილიაზე გადავფრენილიყავი, რათა გუნდთან ახლოს ვყოფილიყავი. კარგი კაპიტანი ასე უნდა იქცეოდეს. დღეს ერთად დგომა ისე გვჭირდება, როგორც არასდროს" — განმარტა ტოტიმ.

შემდეგ „კარგმა კაპიტანმა" ანტონიო კასანოს და კლუბის კონფლიქტზე ილაპარაკა:

„მან ძალიან კარგად იცის, რომ შეცდა, ოღონდ ისიც იცის, რომ ჩვენ მასზე ვზრუნავთ და ხელგაშლილი ველოდებით. კასანო დღეს ტრიგორიის საწვრთნელ ბაზაზეა და ვარჯიშობს. ასე რომ, როდესაც დისკვალიფიკაციის ვადა გაუვა, მოედანს ჩინებულ ფორმაში დაუბრუნდება".

და ამასობაში, „რომას" მწვრთნელი რუდი ფიოლერი „მესინასთან" შეხვედრაში, მათ კარში დანიშნულ პენალტს მიმოიხილავს:

„მექსეშს ადრეც ვუთხარი, რომ საგანგებო სიფრთხილე მართებს. საფრანგეთში ხომ აღარ არის, იტალიაშია, სადაც ყველა წვრილმანი ისჯება, მაგრამ არის მეორე მხარეც — დარწმუნებული ვარ, კოლინა ასეთ დარღვევაზე ჩემპიონთა ლიგაში პენალტს არ დადებდა".

**ბაბუნა ძიდია**

# თქვენ ჩემპიონობა ხომ არ გინდათ?
## თავმჯდომარის ფრანგული თეორია



ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

**გუნდი**, რომელიც სეზონის წინ ჩემპიონობას ისახავდა მიზნად, ახლა ცხრილში მეჩვიდმეტე ადგილზეა და პირველ მოგებაზე ოცნებობს.

ფრანგულმა პსჟ-მ გასულ ტურში შინ „მონაკოსთან" წააგო და კვირაში მიჯრით მეორე მარცხი გამოუვიდა მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის მატჩში, პარიზში „ჩელსისთან" 0:3 განადგურდა. პსჟ ჩემპიონატში მომავალ უქმეებზე „ლანსს" ეთამაშება, ხოლო კლუბის თავმჯდომარე ფრანსის გრაილი ასე ბჭობს: „ჯერ არაფერია დაკარგული და სამეულში მოხვედრის თეორიული შანსი გვაქვს. ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩთან ერთად უკან დახევას არ ვაპირებთ. წარუმატებლობა მოტივაციას გვიორმაგებს".

აღსანიშნავია, რომ „მონაკოსთან" წაგებულ შეხვედრაში პსჟ-მ გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე „ჩელსისთან", რაც გუნდის კაპიტან ჟოზე-პიერ ფანფანს აიმედებს: „ჩვენ უნდა მოვფერიანდეთ. თითქოს იღბალი გვაკლდება, როცა მეტოქის კართან მომენტებს ვერ ვიყენებთ. მეტი ყურადღება და მობილიზებაა საჭირო. ცხადია, ამ დროისთვის ჩემპიონობაზე არ ვფიქრობთ, მაგრამ არც ცხრილში ვიყურებით, რათა ზედმეტად არ დავითრგუნოთ. ამჟამად მხოლოდ მომდევნო ტურზე და „ლანსთან" გამარჯვებაზე ვფიქრობთ".

რაც შეეხება ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის ბედს, ფანფანმა თქვა: „ამჟამინდელი ვითარება მწვრთნელისთვის, ფეხბურთელებისთვის და კლუბის ბოსებისთვის ერთნაირად რთულია, ამიტომ უნდა გამოვცოცხლდეთ და პირველი მოგებისთვის ყველა ერთად მოვემზადოთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# არ მინდა მცველები!
## მაურინიუ სანტინიმ გაახელა

„ჩელსი" — „ტოტენჰემის" უგოლოდ დასრულებული მატჩის შემდეგ „არისტოკრატთა" პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ სტუმართა დაცვითი ტაქტიკის გამო ისე გაბრაზდა, რომ ჟაკ სანტინის გუნდი ზრდილობიანად გამოლანძღა. მაურინიუს აზრით, ასეთ ფეხბურთს მხოლოდ „პატარა გუნდები" თამაშობენ, რომლებსაც მოგება არ ძალუძთ და ოდენ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, მეტოქეს კი ლალი თამაშის საშუალებას უსპობენ.



ჟაკ სანტინი

მაშ ასე, აი, რა თქვა მაურინიუმ: „ეს იყო საშინელი დღე ჩემთვის, ჩემი ფეხბურთელებისთვის და ფეხბურთის ნაღდი ქომაგისთვის. ხალხი ფულს იმიტომ არ იხდის ბილეთში, რომ ერთი გუნდის მუდმივ შეტევას და მეორის მუდმივ დაცვას უყუროს. გუნდისას, რომელიც მხოლოდ საკუთარი საჯარიმოდან ბურთის შორს მოგერიებითაა დაკავებული და მეტოქის ნახევარზე გადასვლას არც ცდილობს. ასევე არ შეიძლება, რომ მოთამაშეები წამდაუწუმ ექიმის დახმარებას ითხოვდნენ, თითო შეცვლას კი ხუთ წუთს ანდომებდნენ. „ტოტენჰემმა" ფეხბურთის თამაშის გარდა, ყველაფერი გააკეთა. ისინი თავს იცავდნენ, იცავდნენ და იცავდნენ! ჩვენ ვუტევდით, ვუტევდით, ვუტევდით და საბოლოოდ ქულა გვერგო, რაც დიდი უსამართლობაა. ცხადია, „ტოტენჰემის" დარი მეტოქესთან გოლის გატანა გაგვიჭირდებოდა, მეორე ტაიმის 45 წუთიდან ფეხბურთი მხოლოდ 25 წუთის განმავლობაში ვიხილე. მატჩი ოთხი შემტევით დავასრულე, მაგრამ სტუმრების დაცვას ვერაფერი მოვუხერხე. ნორმალურ ვითარებაში, როცა ორი გუნდი მოგებას ცდილობს, ოთხი ფორვარდი არ დამჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, მომავალში თამაშის მოსაგებად ოთხზე მეტი რომ დამჭირდეს, მათაც შევიყვან მოედანზე. ეგებ, შემდეგ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე უილიამ გალასისა და ალექსეი სმერტინის ნაცვლად ადრიან მუტუ და არიენ რობენი დამხვდნენ. მე მცველები არ მინდა!".



ჟოზე მაურინიუ

ასე გაბრაზდა ჟოზე მაურინიუ, რომელიც თავის დროზე, „პორტუს" მწვრთნელობისას, სერ ალექს ფერგიუსონმა გალანძღა, მისი გუნდი ანტიფეხბურთს თამაშობსო. გახსოვთ, ალბათ რატომაც — ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების მერვედფინალში „პორტუმ" ხომ „მანჩესტერ იუნაიტედს" სძლია.

**ვაჟა ხუციშვილი**

## პორტუგალია

### სუპერლიგა. III ტური

**აკადემიკა 0:1 ბენფიკა**

0:1 სიმაო (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| სეტუბალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ბელენენსეში | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ბოავიშტა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| გიმარაეში | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| მორეირენსე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ლეირია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| რიუ ავე | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| მარიტიმუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ნასიონალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბეირა მარი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| პორტუ | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ბრაგა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ეშტორილი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| აკადემიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| პენაფიელი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| ჟილ ვისენტე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |

### მეორე ლიგა. III ტური

ალვერკა — მაია 0:1; ვარზიმი — სანტა კლარა 3:1; ესპინიუ — პორტიმონენსე 1:3; ავეში — ფერეირა 1:0; შავეში — მარკუ 0:2; ფელგეირაში — ლეიშოეში 0:0; გონდომარი — ამადორა 0:2; ოლიალენსე — ნავალი 2:1; ოვაირენსე — ფეირენსე 4:1

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. VI ტური

ტეპლიცე — სინოტი 1:1; ბუდეიოვიცე — ბრნო 1:1; ოპავა — იაბლონეცი 4:1; სლავია — დრნოვიცე 2:1; ლიბერეცი — სპარტა 0:1; ბლშანი — მლადა ბოლესლავი 2:0; პრჟიბრამი — ბანიკი 1:2; ზლინი — სიგმა 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 6 | 5 | 1 | 0 | 15:5 | 16 |
| ბრნო | 6 | 4 | 1 | 1 | 6:5 | 13 |
| სიგმა | 6 | 4 | 0 | 2 | 9:6 | 12 |
| ტეპლიცე | 6 | 3 | 3 | 0 | 8:5 | 12 |
| ბანიკი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 11 |
| სლავია | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ლიბერეცი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:3 | 9 |
| სინოტი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 8 |
| ზლინი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:4 | 8 |
| ოპავა | 6 | 2 | 1 | 3 | 10:12 | 7 |
| ბუდეიოვიცე | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| იაბლონეცი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| პრჟიბრამი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| მლადა ბოლესლავი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| ბლშანი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:8 | 4 |
| დრნოვიცე | 6 | 1 | 0 | 5 | 5:9 | 3 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XXI ტური

ჰამ კამი — ვიკინგი 1:2; ბოდიო გლიმტი — ბრანი 1:1; ოდ გრენლანდი — რუსენბორგი 3:0; სტაბეკი — ფრედრიკსტადი 1:1; ვოლერენგა — მოლდე 4:1; ტრომსიო — ლინი 0:1; სოგნდალი — ლილესტრიომი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 21 | 11 | 6 | 4 | 43:28 | 39 |
| ვოლერენგა | 21 | 10 | 7 | 4 | 31:19 | 37 |
| ტრომსიო | 21 | 11 | 3 | 7 | 33:25 | 36 |
| ლინი | 21 | 9 | 7 | 5 | 25:19 | 34 |
| ლილესტრიომი | 21 | 8 | 7 | 6 | 41:28 | 31 |
| ოდ გრენლანდი | 21 | 8 | 7 | 6 | 37:31 | 31 |
| ბრანი | 21 | 9 | 3 | 9 | 35:34 | 30 |
| ჰამ კამი | 21 | 8 | 6 | 7 | 29:30 | 30 |
| ვიკინგი | 21 | 5 | 10 | 6 | 23:28 | 25 |
| ბოდიო გლიმტი | 21 | 7 | 4 | 10 | 26:34 | 25 |
| სტაბეკი | 21 | 6 | 5 | 10 | 21:31 | 23 |
| ფრედრიკსტადი | 21 | 6 | 4 | 11 | 33:45 | 22 |
| მოლდე | 21 | 4 | 9 | 8 | 25:33 | 21 |
| სოგნდალი | 21 | 3 | 6 | 12 | 31:48 | 15 |

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. V ტური

ტატაბანია — ვაშაში 2:0; დებრეცენი — კაპოშვარი 2:1; დიორი — ბეკეშჩაბა 2:0; ჰონვედი — დიოშდიორი 2:1; პეჩი — მტკ 1:0; ზალაეგერსეგი — ვიდეოტონი 0:0; უიპეშტი — შოპრონი 1:4; ფერენცვაროში — ნირედიჰაზა 5:0

## შვედეთი

### ალსვენსკა. XX ტური

ლანდსკრონა — კალმარი 0:2; ჰამარბი — სუნდსვალი 1:0; იორგრიტე — ჰალმსტადი 2:0; ტრელებორგი — გიოტებორგი 2:3; აიკ — ელფსბორგი 1:1; მალმიო — იურგორდენი 2:0; იორებრო — ჰელსინგბორგი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 20 | 11 | 7 | 2 | 35:14 | 40 |
| გიოტებორგი | 20 | 12 | 4 | 4 | 27:14 | 40 |
| ჰალმსტადი | 20 | 10 | 6 | 4 | 39:24 | 36 |
| კალმარი | 20 | 8 | 9 | 3 | 23:15 | 33 |
| ჰამარბი | 20 | 9 | 5 | 6 | 23:19 | 32 |
| იურგორდენი | 20 | 7 | 7 | 6 | 26:26 | 28 |
| ჰელსინგბორგი | 20 | 6 | 7 | 8 | 37:27 | 25 |
| სუნდსვალი | 20 | 6 | 7 | 7 | 20:22 | 25 |
| ელფსბორგი | 20 | 6 | 7 | 7 | 19:26 | 25 |
| იორებრო | 20 | 5 | 6 | 9 | 23:37 | 21 |
| იორგრიტე | 20 | 4 | 8 | 8 | 18:26 | 20 |
| აიკ | 20 | 4 | 7 | 9 | 16:26 | 19 |
| ლანდსკრონა | 20 | 3 | 8 | 9 | 18:29 | 17 |
| ტრელებორგი | 20 | 2 | 6 | 12 | 16:35 | 12 |

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. VI ტური

ლეხი — კრაკოვია 0:2; გურნიკი — ოდრა 2:0; კატოვიცე — პლოცკი 0:0; პოლონია — პოგონი 3:3; გროცლინი — ზაგლებე 3:1; ვისლა — ამიცა 1:1; ლეჩნა — ლეგია 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 6 | 5 | 1 | 0 | 22:2 | 16 |
| გროცლინი | 5 | 5 | 0 | 0 | 12:4 | 15 |
| ლეგია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:4 | 14 |
| გურნიკი | 6 | 2 | 4 | 0 | 8:2 | 10 |
| ამიცა | 6 | 2 | 3 | 1 | 10:7 | 9 |
| ზაგლებე | 6 | 2 | 2 | 2 | 8:10 | 8 |
| კრაკოვია | 6 | 2 | 1 | 3 | 11:10 | 7 |
| პოლონია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:11 | 7 |
| ოდრა | 6 | 2 | 0 | 4 | 7:10 | 6 |
| ლეხი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:13 | 6 |
| პლოცკი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| კატოვიცე | 6 | 1 | 1 | 4 | 6:11 | 4 |
| პოგონი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:17 | 4 |
| ლეჩნა | 6 | 1 | 0 | 5 | 6:15 | 3 |

## სლოვენია

### სი მობილ ლიგა. VII ტური

ოლიმპია — ზაგორიე 1:0; პრიმორიე — ლიუბლიანა 0:0; ბელა კრაინა — ნოვა გორიცა 0:1; დომზალე — დრავა პტუი 3:2; მარიბორი — კოპერი 0:0; მურა — პუბლიკუმი 0:0

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XXVI ტური

შემროკი — დუბლინი 1:3; ბოჰემიანსი — კორკ სიტი 1:0; დროჰედა — ლონგფორდი 0:1. *შელბურნი — სენტ პატრიკსი (იხ. მე-2 გვერდზე), დერი სიტი — უოტერფორდი გადაიდო*

## ისლანდია

